



Invitation for Bids

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე

თარიღი: **2022 წლის 21 იანვარი**

სესხის/გრანტის № და დასახელება: **3291-GEO - ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 5**

კონტრაქტის № და დასახელება: **UWSCG-ICB-Machinery-2021.01 (4 ლოტი) - სპეციალური ტექნიკის შესყიდვა**

სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: **2022 წლის 7 მარტი, 15:00 (თბილისის დროით)**

1. საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო სესხი ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის მეხუთა ტრანშის დასაფინანსებლად; აღნიშნული სესხის ნაწილი მოხმარდება ზემოხსენებული კონტრაქტის დაფინანსებას. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის ნებადართული ქვეყნების პრეტენდენტებისათვის.
2. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) (შემსყიდველი) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან, სპეც. ტექნიკის შესყიდვაზე, როგორც ინდივიდუალური კონტრაქტის, ისე ლოტების ნებისმიერ კომბინაციაზე. კერძოდ, შემდეგი საქონლის შესყიდვაზე:

კონტრაქტის No. : UWSCG-ICB-Machinery-2021/01 (4 ლოტი)				
დასახელება: სპეციალური ტექნიკის შესყიდვა				
ლოტი No. : 1				
ლოტის დასახელება : ექსკავატორ-დამტვირთველის შესყიდვა				
No.	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	ერთეული	რაოდენობა
1	ექსკავატორ-დამტვირთველი		ერთეული	23
ლოტის No. : 2				
ლოტის დასახელება : ასენიზაციის მანქანების შესყიდვა				

No.	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	ერთეული	რაოდენობა
1	დიდი ასენიზაციის მანქანა		ერთეული	8
2	პატარა ასენიზაციის მანქანა		ერთეული	6

ლოტის No. : ლოტი 3

ლოტის დასახელება : ჰიდრავლიკური ჩაქუჩის შესყიდვა

No.	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	ერთეული	რაოდენობა
1	ჰიდრავლიკური ჩაქუჩი		ერთეული	6

ლოტის No. : ლოტი 4

ლოტის დასახელება: მულჩერის შესყიდვა

No.	საქონლის ან დაკავშირებული მომსახურებების დასახელება	აღწერა	ერთეული	რაოდენობა
1	მულჩერი	მოსხნადი მულჩერი	ერთეული	1

3. საერთაშორისო კონკურენტუნარიანი ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად „ერთეულებიანი: ერთკონვერტიანი“ ტენდერის ფარგლებში და ღიაა უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც სატენდერო დოკუმენტებშია აღწერილი.

4. მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოიცავს არა მხოლოდ შემდეგს:

- **საკონტრაქტო გამოცდილება:**

გასული 3 წლის განმავლობაში მთავარი მომწოდებლის სახით შემდეგი კონტრაქტების წარმატებით შესრულება:

ლოტი 1: 2 კონტრაქტი საერთო ღირებულებით 1,170,000.00 აშშ დოლარი

ლოტი 2: 2 კონტრაქტი საერთო ღირებულებით 570,000.00 აშშ დოლარი

ლოტი 3: 2 კონტრაქტი საერთო ღირებულებით 15,000.00 აშშ დოლარი და 1 კონტრაქტი 10,000.00 აშშ დოლარი

ლოტი 4: 2 კონტრაქტი საერთო ღირებულებით 6,000.00 აშშ დოლარი და 1 კონტრაქტი 5,000 აშშ დოლარი

იმავე ბუნებითა და მოწოდების სირთულით, რაც აღწერილია მე-6 სექციაში (მოწოდების გრაფიკი).

- **ტექნიკური გამოცდილება:**

პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს, რომ შემოთავაზებული საქონელი

(i) იყიდება სულ მცირე **სამი წელია;**

(ii) პრეტენდენტს გაუყიდა მინიმუმ შემდეგი ოდენობით:

ლოტი 1: 23 ცალი

ლოტი 2:

- ✓ დიდი ასენიზაციის მანქანა - 8 ცალი;

- ✓ პატარა ასენიზაციის მანქანა - 6 ცალი;

ლოტი 3: 6 ცალი;

ლოტი 4: 1 ცალი

იგივე მოდელი გასული ერთი (1) წლის განმავლობაში;

(iii) ექსპლუატაციაშია მინიმუმ **3 წელია**

- **წარმოების მოცულობა:**

პრეტენდენტმა ან მწარმოებელმა უნდა უჩვენოს, რომ შეუძლია, შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, მოაწოდოს საქონელი იმავე ტიპის, ზომისა და რაოდენობის, მოწოდებისა და დასრულების გრაფიკის მიხედვით.

- **ისტორიული ფინანსური მაჩვენებელი:** აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა ან, თუ პრეტენდენტის ქვეყნის სამართალი არ ითხოვს, შემსყიდველისათვის მისაღები ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა გასული **სამი (3) წლის¹** განმავლობაში, რათა უჩვენოს პრეტენდენტის არსებული ფინანსური მდგომარეობა. როგორც მინიმუმ, პრეტენდენტის წმინდა ღირებულება გასული

¹ 2018, 2019, 2020 წლები

წლისათვის გამოითვლება საერთო აქტივებსა და საერთო ვალდებულებებს შორის დადებითი სხვაობით.

- **საშუალო წლიური ბრუნვა:**

მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა გამოითვლება გასული **სამი წლის** განმავლობაში დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტებისათვის პრეტენდენტის მიერ მიღებული გადახდები.

საჭირო საშუალო წლიური ბრუნვა თითოეული ლოტისათვის:

- ✓ **ლოტი 1: 2,193,000.00 აშშ დოლარი**
- ✓ **ლოტი 2: 1,082,000.00 აშშ დოლარი**
- ✓ **ლოტი 3: 26,000.00 აშშ დოლარი**
- ✓ **ლოტი 4: 12,000.00 აშშ დოლარი**

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე წარმოადგენს წინადადებას 2 ან მეტ ლოტზე, მოთხოვნები შეჯამდება შესაბამისად.

5. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შემოწმების მიზნით პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ხატია ამილახვარი და/ან ეთერ ფირანიშვილი

მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას 5/7, თბილისი

სართული: პირველი

ქალაქი: თბილისი

ZIP კოდი: 0186

ქვეყანა: საქართველო

ტელეფონი: (995 32) 291 90 60

ფაქსიმილე: (995 32) 22 00 36

ელ. მისამართი: info.procurement@water.gov.ge

CC: kh.amilakhvari@water.gov.ge; e.piranishvili@water.gov.ge

i.mazanishvili@water.gov.ge; m.gelashvili@water.gov.ge

6. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ელექტრონული ფორმატით, მას შემდეგ, რაც მე-5 პარაგრაფში მითითებულ მისამართებზე შემოვა დოკუმენტაციის გაცემაზე წერილობითი მოთხოვნა.

7. სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოთ:

- ზემოთ მითითებულ მისამართზე;
- **წარმოდგენის საბოლოო თარიღში ან თარიღამდე: 2022 წლის 7 მარტი, 15:00 სთ (თბილისის დრო)**
- სატენდერო დოკუმენტაციაში აღწერილი სატენდერო წინადადების გარანტიასთან და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაციასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადის ამოწურვისას პრეტენდენტების წარმომადგენლების (რომლებიც მოისურვებენ დასწრებას) თანდასწრებით.

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

8. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არაა პასუხისმგებელი ხარჯებზე, რაც პრეტენდენტებმა გაიღეს სატენდერო წინადადებების მომზადებისა თუ ჩაბარების დროს.